



საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ  
GEORGIAN NATIONAL UNIVERSITY SEU

## საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს სტუდენტური კლუბების დებულება

დამტკიცებულია  
რექტორის 2023 წლის 15 სექტემბრის №1046 ბრძანებით

თბილისი  
2023

## მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) სტუდენტური კლუბების (შემდგომში - „კლუბი“) შექმნისა და დაფინანსების წესს, მათ უფლებამოსილებებს, საქმიანობის ძირითად პრინციპებსა და მიზნებს.
2. სტუდენტური კლუბი წარმოადგენს საერთო სასწავლო, სამეცნიერო, შემოქმედებითი ან/და შემეცნებითი აქტივობების განხორციელების მიზნით სტუდენტების ნებაყოფლობით გაერთიანებას, რომელიც იქმნება და ფუნქციონირებს წინამდებარე დებულებით დადგენილი წესების დაცვით.

## მუხლი 2. კლუბის მიზანი

1. კლუბის მიზანია მრავალფეროვანი აქტივობებითა და ღონისძიებებით დაეხმაროს სტუდენტებს საკუთარი ინტერესებისა და უნარების რეალიზებაში, მოამზადოს კარიერული წარმატებისთვის და ჩამოუყალიბოს უნივერსიტეტის და ერთმანეთის მიმართ დადებითი ემოციები და ლოიალობა.
2. კლუბის შექმნის ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებებს წარმოადგენს:
  - ა) სტუდენტებში იდეების გენერირების სტიმულირება, მათი ინტერესების გამოკვეთა და მათ დახვეწა-განხორციელებაში მხარდაჭერა;
  - ბ) სტუდენტთა ექსტრაკურსულურ აქტივობებში ჩართულობის გაზრდა;
  - გ) სტუდენტური პროექტების მხარდაჭერა და უკუკავშირი;
  - დ) სტუდენტთა შორის ურთიერთობების განვითარება და აქტიური სოციალური ცხოვრება, საუნივერსიტეტო გარემოში სტუდენტთა ინტეგრაციის ხელშეწყობა;
  - ე) კონფერენციების ორგანიზება და სამეცნიერო საქმიანობის პოპულარიზაცია ახალგაზრდებში;
  - ვ) უცხოურ სტუდენტურ ორგანიზაციებთან კავშირი საკლუბო დონეზე.

## მუხლი 3. სტუდენტური კლუბის შექმნა (რეგისტრაცია) და გაუქმება

1. უნივერსიტეტის იმ კლუბის შექმნაზე/გაუქმებაზე, რომლის მიზანია სასწავლო ან/და სამეცნიერო აქტივობების განხორციელება, გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი მიმართულების ფაკულტეტი, ხოლო იმ კლუბების შექმნაზე რომლებიც შემოქმედებითი ან/და შემეცნებითი აქტივობების განხორციელების მიზნით იქმნება, კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური;
2. რეგისტრირებული კლუბის განვითარების მხარდაჭერას ახორციელებს კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური, შესაბამის ფაკულტეტთან ერთად;

3. კლუბის დამფუძნებელი შეიძლება იყოს მხოლოდ აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, რომელსაც უკანასკნელი სემესტრის GPA არ უნდა ჰქონდეს 2.5 -ზე ნაკლები. კლუბს უნდა ჰყავდეს თავმჯდომარე და საორგანიზაციო ჯგუფი. ამ უკანასკნელის წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს 3-ზე ნაკლები (მათ შორის კლუბის თავმჯდომარე).
4. ერთიდაიგივე პირი არ შეიძლება იყოს ორი ან მეტი კლუბის დამფუძნებელი. ეს შეზღუდვა არ შეეხება კლუბის წევრს.
5. კლუბში წევრების რაოდენობა არ არის შეზღუდული;
6. კლუბის რეგისტრაცია ხორციელდება „www.seu.edu.ge“-დან, ვებგვერდზე განთავსებული ონლაინ-სარეგისტრაციო ფორმის შევსებით.
7. განმცხადებელი, კლუბის რეგისტრაციისას წარადგენს კლუბის დებულებას, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
  - კლუბის სახელწოდებას, რომელიც უნდა მოიცავდეს სიტყვებს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს კლუბი/სახელწოდება/“. სახელწოდება არ უნდა ემთხვეოდეს უკვე რეგისტრირებული კლუბის სახელს;
  - კლუბის საქმიანობას და მიზნებს, ასევე ინფორმაციას დამფუძნებლის, საორგანიზაციო ჯგუფის და წევრების (არსებობის შემთხვევაში) შესახებ (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ელ ფოსტა, ტელეფონის ნომერი, პროგრამა);
8. კლუბის სარეგისტრაციო დოკუმენტების წარდგენა შესაძლებელია სასწავლო წლის განმავლობაში.
9. კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური დარეგისტრირებულ განაცხადებს ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გადაარჩევს და წარუდგენს შესაბამის ფაკულტეტს გადაწყვეტილების მისაღებად, ან თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებას კლუბის რეგისტრაციის ან/და რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ. კლუბის რეგისტრაციის ან მასზე უარის თქმის შესახებ ინფორმაცია ეცნობება განმცხადებელს.
10. ფაკულტეტი და კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური კლუბის რეგისტრაციის გაუქმებას ახდენს იმ შემთხვევაში, თუ კლუბს ბოლო 6 თვის განმავლობაში არ განუხორციელებია არანაკლებ 2 აქტივობა მაინც. იგივე შედეგი დგება თუ კლუბი არ შეასრულებს ამ დებულების მე-4 მუხლით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

#### **მუხლი 4. კლუბის ვალდებულებები პროექტის/აქტივობის განხორციელებისას**

1. კლუბი აქტივობებს ახორციელებს მისი დებულებით განსაზღვრული მიზნებიდან გამომდინარე. მის მიერ განხორციელებულ ყველა აქტივობაში უნდა ფიგურირებდეს უნივერსიტეტი;
2. განსხვავებული თემატიკის აქტივობაში ჩართვის მიზნით კლუბი უფლებამოსილია პროექტის ირგვლივ გაერთიანდეს სხვა კლუბთან;
3. ინფორმაციის გავრცელების მიზნით კლუბი ვალდებულია 7 სამუშაო დღით ადრე მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურს;
4. საჯარო ლექციის/საინფორმაციო შეხვედრის/ტრენინგების და სხვა აქტივობების,

ჩატარების მიზნით პირის/ორგანიზაციის მოწვევამდე კლუბი ვალდებულია ღონისძიება შეათანხმოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და მხოლოდ თანხმობის შემთხვევაში მოიწვიოს;

5. საქართველოში გამოცხადებული საარჩევნო კამპანიის პერიოდში აკრძალულია პოლიტიკური პარტიის წევრების ან/და პოლიტიკური თანამდებობის პირების მოწვევა;
6. კლუბი განხორციელებულ პროექტზე 5 სამუშაო დღის ვადაში ამზადებს მოხსენებით ბარათს/ანგარიშს;
7. კლუბი ვალდებულია კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურს პერიოდულად მიაწოდოს ინფორმაცია კლუბის შემადგენლობის განახლების (მ.შ. თავმჯდომარის, საორგანიზაციო ჯგუფის ან/და წევრების) შესახებ;
8. სავალდებულოა კლუბის მიერ სემესტრში სულ მცირე ორი შეხვედრის ან/და ღონისძიების ორგანიზება. თუ კლუბი ატარებს სემესტრში მხოლოდ ერთ ღონისძიებას, მას შესაძლოა დროებით შეუზღუდოს დაფინანსების მოთხოვნის უფლება. თუკი კლუბი სემესტრის განმავლობაში არ ატარებს ღონისძიებას, დგება კლუბის გაუქმების საკითხი.
9. კლუბი ერთვება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში, შეთავაზების შემთხვევაში.

## **მუხლი 5. სტუდენტური კლუბის დაფინანსება**

1. ამ დებულებით გათვალისწინებული წესით რეგისტრირებული კლუბი უფლებამოსილია მიიღოს პროექტების დაფინანსება ან/და განსახორციელებელი აქტივობების მხარდასაჭერად საჭირო სხვადასხვა რესურსები უნივერსიტეტისაგან, შესაბამისი ფაკულტეტისა და კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურთან შეთანხმებით;
2. ფაკულტეტი, კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურთან ერთად, კლუბების მიერ წარდგენილ პროექტებს განიხილავს თვეში ერთხელ, ყოველი თვის 1-5 რიცხვებში;
3. კლუბს პროექტის წარდგენა შეუძლია მხოლოდ დადგენილი ფორმით (დანართი №1). განაცხადის წარდგენის შემდეგ ფაკულტეტი, კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურთან ერთად ამოწმებს პროექტის შესაბამისობას ამ დებულებით დადგენილ მოთხოვნებთან (დანართი №2);
4. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის კლუბის ყველა დამფუძნებელს და პროექტის ბენეფიციარებს უნდა ჰქონდეთ სტუდენტის აქტიური სტატუსი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბენეფიციარი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია. პროექტი, რომელიც არ აკმაყოფილებს ამ დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ან არ არის სრულყოფილად შევსებული არ განიხილება. განუხილველი პროექტი რეკომენდაციებით უბრუნდება ინიციატორ კლუბს;
5. რეკომენდაციების გათვალისწინების შემთხვევაში, კლუბს უფლება აქვს განმეორებით წარადგინოს იგივე პროექტი საგრანტო კონკურსში;
6. ამ დებულების დანართი №3-ით დადგენილი კრიტერიუმებით განსაზღვრული კლუბის რეიტინგი, გათვალისწინებულ იქნება კლუბის მიერ წარმოდგენილი პროექტების დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

## მუხლი 6. გარდამავალი დებულებები

1. ამ დებულების ამოქმედებისათვის გაუქმდეს უნივერსიტეტში მოქმედი ყველა კლუბის რეგისტრაცია და მიეცეთ ხელახალი რეგისტრაციის უფლება, ამ დებულებების დათქმების შესაბამისად.